ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3220765

ნომერი: AR1494468

თარიღი : 10.04.2017

გაცემის თარიღი : 26.04.2017

გაცნობის თარიღი : 27.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი მთაწმინდა , N13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა ხუციშვილი პ/ნ 01017006208
- თბილისი ნიაღვრის ქ. N 17

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1494468 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქალაქ თბილისში , #01.15.05.057.006 საკადასტრო ერთეულზე მიმდინარე მშენებლობას და ითხოვთ ნებისმიერი განცხადების შემოსვლის შემთხვევაში ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში , შესახვევი მთაწმინდა , #13 #01.15.05.057.006 საკადასტრო ერთეულზე მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით სამსახურის მიერ გაცემულია შემდეგი აქტები:

2015 წლის 30 დეკემბერს #2354982 ბრძანებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

2016 წლის 9 ივნისის #2636282 ბრძანებით შეთანხმდა არსებული შენობა–ნაგებობების დემონტაჟის პროექტი.

2016 წლის 23 ივნისის #2669933 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2015 წ. #2354982 ბრძანებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირებული იქნა ფუნქციური ზონა– საცხოვრებელი ზონა 5 (სზ–5);

2016 წლის 12 ივლისის #2706114 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

2016 წლის 8 სექტემბრის #2822764 ბრძანებით გაიცა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა.

2016 წლის 17 ოქტომბრის #2893316 გადაწყვეტილებით გაიცა არსებული შენობა–ნაგებობების დემონტაჟის მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი დემონტაჟის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

2017 წლის 21 მარტის #3159604 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 12 ივლისის #2706114 ბრძანებაში და შეთანხმებული პროექტის გეგმები ჩანაცვლდა 2017 წლის 17 მარტის #AR1486384 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული გეგმებით.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
ამასთან გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, #01.15.05.057.006 საკადასტრო ერთეულზე, ერთეულზე (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.